



ინტერესთა გამოსატვის განაცხადი სამოქალაქო საზოგადოებისა და სათემო ორგანიზაციების და ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფებისთვის UNDP-ის მწვანე ლიდერობის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად

ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერება მდგრადი და მწვანე მომავლისთვის

- დაინტერესებული ხართ, გაიგოთ მეტი ისეთი საკითხების შესახებ, როგორცაა მწვანე და ციფრული გადასვლა, კლიმატის ცვლილება და ადგილობრივი განვითარება?
- გაელევებთ თქვენი საზოგადოების მწვანე მომავალი?
- მზად ხართ იმუშაოთ ადგილობრივ თემებთან და განახორციელოთ მწვანე ინიციატივები ფოთსა და/ან ხობში?
- გსურთ იყოთ მწვანე ლიდერობის პროგრამის ქსელის წევრი?

UNDP-ის მწვანე ლიდერობის პროგრამა აგრძელებს ახალი წევრების მიღებას და ვთავაზობთ შესაძლებლობას სამოქალაქო საზოგადოებისა (CSO) და სათემო (CBO) ორგანიზაციებს, ასევე, ადგილობრივ საინიციატივო ჯგუფებს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონიდან, გააძლიერონ თავიანთი შესაძლებლობები და გააფართოონ საქმიანობა ფოთისა და ხობის მდგრადი და მწვანე მომავლისთვის.

2026 წელს პროგრამა ორიენტირებულია:

- **ახალი წევრი ორგანიზაციების / საინიციატივო ჯგუფების** ჩართვაზე, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მწვანე გადასვლის საკითხებით;
- **ქსელის წევრი ორგანიზაციების დამატებითი წარმომადგენლების** ჩართვაზე, რათა გაფართოვდეს მათი შესაძლებლობები და გავლენა ადგილობრივ დონეზე.

პროგრამის მიზანია გააძლიეროს ადგილობრივი ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფები, აღჭურვოს ისინი ცოდნით, უნარებითა და სხვა ტექნიკური მხარდაჭერით, რათა შეძლონ წამოიწყონ ადგილობრივი მწვანე ინიციატივები, საინფორმაციო კამპანიები და აქტიურად ჩაერთონ მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებში. პროგრამაში მონაწილეობა უფასოა.

როგორ მუშაობს პროგრამა:

პროგრამის ფარგლებში, მონაწილეები მიიღებენ:

1. **ტრენინგებს მწვანე და ციფრული გადასვლის თემებზე** - პრაქტიკული და თეორიული სესიები, რომლებიც მოიცავს კლიმატის ცვლილების, მდგრადი განვითარების, ნარჩენების მართვის, ენერგო ეფექტურობის, გარემოსდაცვითი მმართველობის, ადგილობრივი განვითარებისა, მწვანე და ციფრულ გადასვლასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. **ტრენერთა ტრენინგს** - უნარების განვითარება სხვადასხვა ჯგუფებთან მუშაობის, ფასილიტაციის და საზოგადოების მობილიზების თემებზე მწვანე და ციფრული გარდაქმნის ხელშეწყობისთვის.
3. **სამუშაო შეხვედრებს** - ქსელის ამჟამინდელი და ახალი წევრების ერთობლივი სამუშაო სესიები, სადაც დაიგეგმება და განიხილება საერთო აქტივობები და ინიციატივები ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტების მწვანე და ციფრული გარდაქმნისთვის.
4. **კონკურსებს** - ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა ადგილობრივი მწვანე ინიციატივების განსახორციელებლად, რომლებიც ხელს შეუწყობს მდგრად ცვლილებებს ხობისა და ფოთის თემებში.

პროგრამის შერჩეული მონაწილეები შეუერთდებიან მწვანე ლიდერობის პროგრამის კურსდამთავრებულთა ქსელს და მიიღებენ მხარდაჭერას თანამშრომლობის, სწავლებისა და კონსულტაციების შესაძლებლობებით.

პროგრამის შესახებ

UNDP მწვანე ლიდერობის პროგრამას ახორციელებს რეგიონული პროექტის „მწვანე მომავალი, უფლებებისა და სტაბილურობის განმტკიცება“ (GFP) ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია დანიის მთავრობის მიერ. საქართველოში პროექტი

მიზნად ისახავს მწვანე და სამართლიანი გადასვლის მხარდაჭერას ხობსა და ფოთში, ასევე, მოქალაქეების, ბიზნესებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტიურ ჩართვას კლიმატის ცვლილებებთან და მდგრად ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებულ ადგილობრივ აქტივობებში.

მწვანე ლიდერობის პროგრამა (GLP) პირველად განხორციელდა 2025 წელს. პროგრამა გაიარა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მოღვაწე 22 ორგანიზაციის 30-მდე წარმომადგენელმა, რომლებიც პროგრამის დასრულების შემდეგ შეუერთდნენ პროგრამის კურსდამთავრებულთა ქსელს.¹

მონაწილეობის კრიტერიუმები: ვის შეუძლია განაცხადის გამოგზავნა?

1. სამოქალაქო საზოგადოებისა (CSO) და სათემო ორგანიზაციები (CBO):

ა) **ორგანიზაციები** - სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც არ არიან მწვანე ლიდერობის პროგრამის კურსდამთავრებულები, აქვთ ადგილობრივი განვითარების საკითხებზე მუშაობის გამოცდილება ფოთის, ხობის და/ან სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, და აქვთ სურვილი წვლილი შეიტანონ გარემოსდაცვით და მდგრადი განვითარების ცვლილებებში. პრიორიტეტი მიენიჭებათ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც:

¹ მწვანე ლიდერობის პროგრამა გაიარეს შემდეგი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა:

1. ასოციაცია ათინათი
2. ასოციაცია თანხმობა
3. აფხაზეთი ჩემი
4. განათლების და განვითარების ცენტრი თოლისკური
5. გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია "დეა"
6. გურიის ადგილობრივი გიდეებისა და მასპინძელი ოჯახების ასოციაცია - „ადმოაჩინე გურია“
7. დიოსკურია
8. თანამონაწილეობისა და ჩართულობის ცენტრი (CPC)
9. კოლხეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაცია
10. მულტიფუნქციური შემოქმედებითი ჰაბი "არტელი Art L"
11. პარტნიორები დემოკრატიის განვითარებისათვის
12. ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი (JRC)
13. რეწვის ცენტრი სტუდია მოზაიკა
14. საზოგადოებრივი გაერთიანება „ჩვენი სენაკი“
15. სამეგრელოს თემები
16. სამეგრელოს ციონი
17. სამოქალაქო პლატფორმა - ფოთელები საკუთარი უფლებებისთვის
18. საუნჯე
19. საქველმოქმედო ჰუმანიტარული ქალთა ფონდი სოხუმი
20. სენაკის სათემო განათლების ცენტრი
21. სოფლად თემთა განვითარების სააგენტო (RCDA)
22. სოფელი კახათის სათემო განათლების და გაძლიერების ცენტრი

- მუშაობენ ფოთის ან ხობის მუნიციპალიტეტებში, სამეგრელო-ქვემო სვანეთის რეგიონში, ან აქვთ ფოთსა, ხობში ან სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მუშაობის გამოცდილება;
- მზად არიან წვლილი შეიტანონ მწვანე და სამართლიანი გადასვლის პროცესში და ხელი შეუწყონ გარემოსდაცვით საკითხებზე დადებით ცვლილებებს.

ბ) 2025 წელს მწვანე ლიდერობის პროგრამაში შერჩეული ორგანიზაციების სხვა წარმომადგენლები - ორგანიზაციები, რომლებმაც უკვე მიიღეს მონაწილეობა 2025 წლის მწვანე ლიდერობის პროგრამაში და სურთ გააფართოონ თავიანთი ჩართულობა დამატებითი წარმომადგენლის/წევრის პროგრამაში ჩართვით.

CSO და CBO ორგანიზაციებმა პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, კონკურსში უნდა წარადგინონ თავიანთი წარმომადგენლი(ები)ს კანდიდატურები. წარდგენის შესაბამის წერილში უნდა განიმარტოს, თუ როგორ დაეხმარება დასახელებული წარმომადგენლი(ები)ს პროგრამაში მონაწილეობა ორგანიზაციას განვითარებასა და მწვანე გადასვლის პროცესში მათ ჩართვას. წარდგენის წერილმა უნდა დაადასტუროს, რომ ორგანიზაცია მზად არის ინსტიტუციური მხარდაჭერა გამოუცხადოს თავის წარმომადგენელს, პროგრამაში მონაწილეობისთვის საჭირო დროის დათმობითა და ზოგადი დახმარებით. ორგანიზაციას რაიმე სახის ფინანსური მხარდაჭერა არ მოეთხოვება. UNDP დაფარავს პროგრამის ფარგლებში გასამართ ღონისძიებებში მონაწილეთა კვების, სასტუმროში განთავსებისა და ტრანსპორტირების ხარჯებს.

თითოეულ ორგანიზაციას შეუძლია დაასახელოს მაქსიმუმ 2 წარმომადგენელი, თუმცა UNDP იტოვებს მხოლოდ ერთი წარმომადგენლის შერჩევის უფლებას.

მნიშვნელოვანია შერჩეული CSO/CBO ორგანიზაცია და მათი წარმომადგენლები პროგრამის ყველა ეტაპში აქტიურად და სრულად იყვნენ ჩართულნი, ასევე, დაინტერესებულნი იყვნენ ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტებში სამოქალაქო მწვანე ინიციატივების ინიცირებით.

2. ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფები:

ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფები სამეგრელოს რეგიონიდან, განსაკუთრებით ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტებიდან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მდგრადი განვითარების საკითხებით და მზად არიან ადგილობრივ თემებში განახორციელონ მწვანე გადასვლის პროექტები.

საინიციატივო ჯგუფად ჩაითვლება რამდენიმე ადამიანის არაფორმალური გაერთიანება საერთო მიზნით, რომლებსაც აქვთ ერთობლივი საქმიანობის გამოცდილება ან ახლახან წამოიწყეს საერთო ინიციატივა, განსაკუთრებით მწვანე გადასვლისა და ადგილობრივი განვითარების თემებზე.

ადგილობრივმა საინიციატივო ჯგუფებმა მწვანე ლიდერობის პროგრამაში მონაწილეობისთვის კონკურსის ფარგლებში უნდა დაასახელონ თავიანთი წარმომადგენელი(ები) (18+ ასაკის). წარდგენის შესაბამის წერილში უნდა განმარტონ, დასახელებული წარმომადგენელი(ების) პროგრამაში მონაწილეობა როგორ დაეხმარებათ საინიციატივო ჯგუფის შესაძლებლობების განვითარებასა და მწვანე გადასვლის პროცესში ჩართვაში. თითოეულ საინიციატივო ჯგუფს შეუძლია წარადგინოს მაქსიმუმ 2 წარმომადგენელი, თუმცა UNDP იტოვებს მხოლოდ ერთი წარმომადგენლის შერჩევის უფლებას.

შერჩეულ ადგილობრივ საინიციატივო ჯგუფებისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის ყველა ეტაპში მათი აქტიური და სრული ჩართულობა, ასევე, ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტებში სამოქალაქო მწვანე ინიციატივების ინიცირებით დაინტერესება. აღნიშნულზე მზაობა უნდა დაადასტუროს ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფის წევრების 2/3-მა.

შერჩევის პროცესი და კრიტერიუმები: როგორ შეირჩვიან მონაწილეები?

მწვანე ლიდერობის პროგრამისთვის 2026 წელს იგეგმება დაახლოებით 10-15 ახალი CS/CB ორგანიზაციის და ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფის, ასევე 2025 წელს შერჩეული ორგანიზაციების დამატებითი წარმომადგენლების შერჩევა.

მონაწილეები შეირჩევა კონკურსის გზით და შეფასდებიან სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით.

- 1. ინტერესი მწვანე გადასვლის საკითხებისადმი:** აშკარა მოტივაცია და მონდობა, წარუძღვეს მდგრადობის უზრუნველყოფაზე ორიენტირებულ ადგილობრივ ინიციატივებს, წვლილი შეიტანოს მწვანე და სამართლიან გადასვლაში და გარემოსდაცვითი პოზიტიური ცვლილებების მიღწევაში – **25 ქულა**
- 2. წინა გამოცდილება:** ადგილობრივ განვითარების პროექტებში ან სათემო ინიციატივებში მონაწილეობა – **25 ქულა**
- 3. CSO/CBO/ადგილობრივი ინიციატივის ჯგუფის (LIG) საქმიანობის გავლენის პოტენციალი:** ა) ორგანიზაციის/LIG-ის შესაძლებლობა, რომ პროგრამაში მიღებული ცოდნა გამოიყენოს მწვანე, ციფრული და სამართლიანი გარდაქმნის პროცესზე დადებითი გავლენის მოსახდენად, საკუთარ თემებში პროექტებისა და ინიციატივების განსახორციელებლად, მათ შორის ისეთი ინიციატივების განსახორციელებლად, რომლებიც გავლენას მოახდენს სხვადასხვა მოწყვლად და სხვადასხვა საჭიროების მქონე ჯგუფებზე, ასევე, ქალებზე – **20 ქულა** ბ) წარდგენილი წარმომადგენლის პროგრამასთან შესაბამისობა და მისი შესაძლებლობა, გააძლიეროს ორგანიზაციის გამოცდილება და გავლენა – **15 ქულა**

4. **გეოგრაფიული ფოკუსი – 15 ქულა:** ა) ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში და აქვთ სურვილი საქმიანობა გააფართოონ ფოთსა ან/და ხობში (მინიმალური მოთხოვნა). პრიორიტეტი მიენიჭებათ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტებში – **15 ქულა**; ან ბ) ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფები (LIG), რომლებიც მუშაობენ ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტებში (მინიმალური მოთხოვნა). პრიორიტეტი მიენიჭებათ LIG-ებს, რომლებიც დაკომპლექტებულია ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებული პირებისგან – **15 ქულა**.

როგორ გამოაგზავნოთ განაცხადი?

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა/ჯგუფებმა უნდა შეავსონ განაცხადი, რომელიც მოიცავს შემდეგ დეტალებს/დოკუმენტებს:

- სამოქალაქო საზოგადოებისა და სათემო ორგანიზაციების, ასევე, საინიციატივო ჯგუფების ოფიციალური წარმომადგენლების მიერ შევსებული **განაცხადის ფორმა**, სადაც ნაჩვენებია იქნება მათი მოტივაცია, წინა ორგანიზაციული გამოცდილება და შესაძლებლობები, ინტერესი მწვანე გადასვლის საკითხებისადმი, განხორციელებული პროექტები/ინიციატივები, და მოსაზრებები, თუ როგორ დაეხმარებათ პროგრამაში მონაწილეობა ორგანიზაციულ განვითარებაში და ფოთსა და ხობის მუნიციპალიტეტში მწვანე გადასვლის ინიციატივებში ჩართულობაში;
- სამოქალაქო საზოგადოებისა და სათემო ორგანიზაციების, ასევე, საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი წარმომადგენლების **რეზიუმეები/CV-ები** (მათ შორის, პერსონალური ინფორმაცია, განათლება, გამოცდილება და მიღწევები);
- **წარდგენის წერილი**, სადაც CSO/CBO/LIG დაადასტურებს კანდიდატ(ებ)ისადმი ინსტიტუციურ მხარდაჭერას;
- **2025 წელს შერჩეული ორგანიზაციებისთვის:** დასტურის წერილი, რომ ორგანიზაცია მონაწილეობდა 2025 წლის პროგრამაში და სურს დამატებითი წარმომადგენლის ჩართვა.

განაცხადები უნდა გამოიგზავნოს შემდეგ [ბმულზე](#) 2026 წლის 16 მარტის ჩათვლით. არ განიხილება დაგვიანებით მიღებული განაცხადები.

შერჩევის გრაფიკი (სავარაუდო თარიღები):

- განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა: **16 მარტი, 2026**
- ონლაინ ინტერვიუზე მოწვევა: **20 მარტი, 2026**
- შერჩევის შესახებ შეტყობინება: **3 აპრილი, 2026**
- პროგრამის დაწყება: **აპრილი, 2026**

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით: თეონა ტურაშვილი,
სამოქალაქო ჩართულობის კოორდინატორი, გაეროს განვითარების პროგრამა,
teona.turashvili@undp.org